

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის

ოქმი № 20

„23“ ოქტომბერი 2023 წ.

ქ. თელავი

თავმჯდომარეობდა : თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
თენგიზი მთვარელიშვილი;

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

თავმჯდომარის პირველი მოადგილე მამუკა ბურდიაშვილი;
თავმჯდომარის მოადგილეები: ალექსანდრე შათირიშვილი, მიხეილ დალუნდარიძე;
საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ლილუაშვილი;
სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე
გიორგი ხაჭაპურიძე;
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის
და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე ლევან კოჭლოშვილი;

ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე დავით დაღანიძე;
ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე ბაადურ რევაზიშვილი;

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ფიქრია ყუშიტაშვილი;
თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ნათია
ვაყელიშვილი;
თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის,
არქიტექტურის და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი
დანიბეგაშვილი;

საკრებულოს აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე;

დღის წესრიგი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის და სხდომის დღის
წესრიგის პროექტის განსაზღვრის შესახებ.

მომხს. თ.მთვარელიშვილი

მოსმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის და სხდომის დღის წესრიგის პროექტის განსაზღვრის შესახებ.

მომხს. თ. მთვარელიშვილი

აზრი გამოთქვას: ზ. ლილუაშვილმა, მ. დალუნდარიძემ

ნ. ვაყელიშვილმა საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შესტანად წარმოადგინა საკითხი: „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ;

გადაწყვიტეს: 1. 2023 წლის 31 ოქტომბერს, 15.00 საათზე მოწვეულ იქნეს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგის პროექტით:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ. მეტრეველი
თანამომხს. ნ. ვაყელიშვილი
15.00სთ-დან - 15.20სთ-მდე

2. „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ;

მომხს. ნ. ვაყელიშვილი
15.20სთ-დან - 15.30სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 30 სექტემბრის N43 დადგენილების „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გეოგრაფიული ობიექტების სახელდებისა და ქუჩების, მოედნების, გამზირების, შესახვევების, ჩიხების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებისა და ბინების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მომხს. ტ. გალახვარიძე
15.30სთ-დან 15.40 სთ-მდე

საკრებულოს თავმჯდომარე



თენგიზი მთვარელიშვილი